

მკურნალობის რეჟიმის დაცვის წინაპირობა ფსიქოზური ეპიზოდის მქონე  
პაციენტებში

ანა გურგენიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქიატრიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ზავრადაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2016

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა გურგენიძე 22.06.2016

## აბსტრაქტი

**მიზანი :** ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა გამოგვეკვლია რა პრედიქტორები განაპირობებს მკურნალობის რეჟიმის დარღვევას განმეორებითი ფსიქოზური ეპიზოდის მქონე პაციენტებში .

**მეთოდოლოგია :** კვლევაში მონაწილეობდა 44 განმეორებითი ფსიქოზური ეპიზოდის მქონე პაციენტი. მონაწილე პირები დავყავით ორ ჯგუფად - კომპლანენტურ და არაკომპლანენტურ პაციენტებად . კომპლანენტურ ჯგუფში გავაერთიანეთ ის პაციენტები, რომლებიც ბოლო სტაციონირებამდე (გამწვავებამდე) იცავდნენ მკურნალობის რეჟიმს და არაკომპლანენტურ ჯგუფში ის პაციენტები , რომლებიც გამწვავებამდე არ იცავდნენ მკურნალობის კურსს. კვლევაში მონაწილე პირთა დიაგნოზი დასმული იყო ექიმი ფსიქიატრის მიერ საერთაშორისო დიაგნოსტიკური კლასიფიკაციის მიხედვით. მკურნალობის რეჟიმის დარღვევის პრედიქტორების შესასწავლად გამოვიყენეთ მედიკამენტისადმი დამოკიდებულების კვლევის კითხვარი (DAI ), რომელიც აფასებს მედიკამენტური მკურნალობის მიმართ პაციენტის დამოკიდებულებას . კვლევაში ასევე გამოყენებული იყო მედიკამენტური მკურნალობის შეფასების სკალა (MARS) რომელითაც ფასდება მკურნალობის მიმართ პაციენტის დამოკიდებულება და მედიკამენტის მიღება/არმიღების ქცევა. ექიმს და პაციენტს შორის თერაპიული ალიანსში შეფასდა სამუშაო ალიანსის კითხვარით (WAI) . პაციენტებში ინსაიტის დონე შეფასდა ინსაიტის შეფასების სკალით (ISP)

**შედეგები:** კვლევის შედეგებმა მაღალი კორელაცია აჩვენა ინსაიტსა და მედიკამენტების მიღებას შორის , ექიმთან თერაპიულ ალიანსსა და მედიკამენტების მიმართ დადებით დამოკიდებულებას შორის . სუსტი კორელაცია დაფიქსირდა ინსაიტსა და ექიმთან თერაპიულ ალიანს შორის , მედიკამენტების მიმართ დამოკიდებულებასა და წამლის მიღების ინტენსივობას შორის. ექიმთან თერაპიულ ალიანსსა და სქესს შორის არის

საშუალო სიმღიერის კორელაცია . ჯგუფთაშორისი შედარების დროს, აღმოჩნდა, რომ კომპლანტურ პაციენტებში უფრო მაღალია ინსაიტის დონე , მედიკამენტების მიმართ დამოკიდებულება და ექიმთან თერაპიული ალიანსის საშუალო მაჩვენებელი .

ძირითადი საძიებო სიტყვები : მკურნალობის რეჟიმის დარღვევა , ფსიქოზური ეპიზოდი,

## Abstract

**Aim :** the aim of the research was to investigate the predictors of non compliance in patients with secondary psychosis episode

**Methodology :** The study involved 44 secondary psychosis episode patients, this patients were divided in two groups as compliant and non - compliant patients . Ccompliant group united patients which adhere medication before the last psychotic episode and in non - compliant group united patients which did not take medication before the last episode of psychos. The diagnosis was based on international classification of diseases.

To investigate the patients attitude to medication the study used the Short version of Drug Attitude Inventory; (DAI ). The research also used Medication Adherence Rating Scale; (MARS )which evaluated the patients attitude toward medication and their behavior of taking medication . Doctor patient therapeutic alliance was evaluated by Working Alliance Inventory (WAI) and insight by Insight Scale For psychosis (ISP).

**Results:** The study showed that there was higher correlation between insight and medical adherence, between therapeutic alliance and positive attitude of taking medication in compliant group. There was poor correlation between medical attitude and medical adherence frequency. Comparisons between the compliant and noncompliant groups showed us that, in compliant group there where insight , better medical adherence and better therapeutic alliance

**Key Words:** Non compliance, non adherence , psychotic episodes .

## მადლობა

კვლევაში მონაწილეობისთვის მადლობას ვუხდით თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრისა და ო.ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრის თანამშრომლებს და მონაწილე პაციენტებს გაწეული დახმარებისთვის. განსაკუთრებული მადლობა სამაგისტო ნაშრომის ხელმძღვანელ ნანა ზავრადაშვილს.